ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2016/35

ქ. თბილისი

1 მარტი, 2016 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ, **სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი"** წარმოდგენილი მისი დირექტორი, ია პაპიაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6, ს/კ # 206351730, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22, ა/ა # 200122900

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ, **შპს „დანი 2012"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბერუჩა ლუხუტაშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი") იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი ცაბაძის ქ.,№2 ; ს/კ:404419704, სს „ბაზის ბანკი", კოდი# CBASGE22, ა/ა # GE92BS0000000060736318

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია **საკვებით უზრუნველყოფის მომსახურების (CPV55511000 - სასადილოებისა და სხვა დახურული კაფეტერიების მომსახურება)** (შემდგომში "მომსახურება") სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, 2016 წლის 1 მარტს ქ. თბილისში ევროკომისიის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში სამუშაო შეხვედრის სტუმართათვის კვებით უზრუნველყოფის მიზნით.

1.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **318,64** (სამასთვრამეტი ლარი და 64 თეთრი) ლარს (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება) ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და გადასახადების ჩათვლით.

2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

2.1 შესყიდვის ობიექტია: 2016 წლის 1 მარტს ქ. თბილისში ევროკომისიის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში სამუშაო შეხვედრის სტუმართა კვებით უზრუნველყოფის მიზნით.

მომსახურება დანართი #1-ის შესაბამისად. დანართი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი 1 ფურცლად)

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2016 წლის 1 მარტს ხელშეკრულების დანართი #1-ის შესაბამისად.

3.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, ცაბაძის ქ.,№2 . რესტორანი „ქართული სახლი".

3.2. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ამ სფეროში აღიარებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი"-ს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი თამარ ლომიძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე იბარებს გაწეულ მომსახურებას, ხოლო თუ, მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული მომსახურება მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი"-ს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი თამარ ლომიძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს" გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევის პროცესში რაიმე უზუსტობის აღმოფხვრა გონივრულ ვადაში;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დროულად არ განხორციელდა შესაბამისი მომსახურების გაწევა, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 30%–ის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2016 წლის 30 აპრილამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან''; ხოლო ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი“

სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“

ია პაპიაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს „დანი 2012”

ბერუჩა ლუხუტაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 2016 წლის 1 მარტს ქ. თბილისში ევროკომისიის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის (TAIEX) ფარგლებში სამუშაო შეხვედრის სტუმართათვის კვებით უზრუნველყოფის მიზნით.

1. კვებით მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგი ვადებისა და მენიუს შესაბამისად:

#	კერძი	რაოდენობა	ერთ. ფასი	ფასი
1	კიტრი პომიდვრის სალათი ნიგვზით	1	9,00	9,00
2	სალათი ცეზარი ქათმით	1	13,00	13,00
3	ფხალის ასორტი	1	15,00	15,00
4.	ყველის ასორტი „ქართული“	1	19,00	19,00
5	ქათმის რულიტი	1	8,00	8,00
6	ქამა სოკო კეცზე სულგუნით	1	13,00	13,00
7	კარტოფილი მექსიკურად	1	9,00	9,00
8	კალმახი შემწვარი	2	9,00	18,00
9.	ხბოს ჩაშუშული	1	17,00	17,00
10.	ღორის ჩალაღაჯი	2	16,00	32,00
11	პურის ასორტი (შოთი ჭვავის რუხი პური)	1	4,00	4,00
12.	ხაჭაპური იმერული	1	11,00	11,00
13.	ბლინი ხორცით 5ც	2	10,00	20,00
14.	ტყემალი	1	2,00	2,00
15.	მჟავის ასორტი	1	7,00	7,00
16.	ზეთის ხილი შავი	1	5,00	5,00
17.	ბორჯომი 500მლ.	5	2,50	12,50
18.	ლიმონათი „ნატახტარი“	5	2,50	12,50
19.	წყაროს წყალი „სნო“ 750მლ	5	2,50	12,50
20.	წინანდალი ჩამ. (ბადაგონი) 1ლ	1	7,00	7,00
21.	საფერავი (გლეხური)	1	15,00	15,00
22.	ყავა ესპრესო	2	4,00	8,00
23	ყავა ამერიკანო	1	4,00	4,00
24	ჩაი მწვანე ჟასმინით	1	5,00	5,00
25.	ჩაი ხილის კირ როიალი	1	6,00	6,00

სულ: 284,50 ლარი ფასნამატი (12%) 34,14 ლარი სულ:318,64 ლარი

2. მიმწოდებელმა კვებით მომსახურების დროს უნდა უზრუნველყოს:

- მისაწოდებელი კერძების დამზადება ეკოლოგიურად სუფთა, ახალი, მაღალხარისხიანი და ჯანსაღი პროდუქტებისგან;
- კვების პროდუქტები თავისი საგემოვნო თვისებებით უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს და უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის უვნებელი, რაზეც მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

„შემსყიდველი“

სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“

ია პაპიაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს „დასი 2002“

ბერუჩა ლუხუტაშვილი
დირექტორი